ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №110

2011 წლის 30 აგვისტო
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მეორე პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 17 ივნისის №30 დადგენილების შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეკლამის განთავსების გეგმა, თანახმად დანართისა;
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე. ბაგრატიონი);
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30)
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე

დანართი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეკლამის განთავსების გეგმა

I ლოტი – ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი, მეგობრობის ქუჩის 640 მეტრიანი მონაკვეთი. (სარეკლამო ფართი 716 კვ.მ.)

ა) **ქ. ქობულეთი,** დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული განათების ბოძი 100 ცალი, რომელზეც შეიძლება განთავსდეს არანაკლებ 4.5 მ სიმაღლეზე 2კვ.მ. ფართის ორმხრივი დროებითი სარეკლამო კონსტრუქცია, საერთო სარეკლამო ფართი 400 კვ.მ.

ბ) აჭარა-გურიის ადმინისტრაციული საზღვარი ზურაბ ჟვანიას ხიდის მიმდებარედ ორმხრივი ხიდისებური კონსტრუქცია 2X(2.5X16) =80 კვ.მ.

გ) **ქ. ქობულეთი,** დ. აღმაშენებლის გამზირზე ყოფილი დ/ს „ჩირაღდანი"-ს მიმდებარედ ორმხრივი ხიდისებური კონსტრუქცია 2X(2.5X16)მ, საერთო ფართით 80 კვ.მ.

დ) **ქ. ქობულეთი,** დავით აღმაშენებლის გამზირზე 9 აპრილის სკვერის მიმდებარედ ორმხრივი კონსტრუქცია ზომით 3X6მ, საერთო ფართით 36 კვ.მეტრი.

ე) **ქ. ქობულეთი,** დ. აღმაშენებლის გამზირზე ყოველ 3 კილომეტრში ქუჩის გადამკვეთი ორმხრივი ფირნიშები ზომით 1X10მ, საერთო ფართით 120 კვ.მეტრი.

II ლოტი – ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა, თავისუფლების ქუჩა რკინიგზის გადასავლელამდე. (სარეკლამო ფართი 136 კვ.მ.)

ა) **ქ. ქობულეთი,** რუსთაველის ქუჩაზე (სადგური-ვერულიძის ქუჩის კვეთამდე) არსებული განათების ბოძი 80 ცალი, რომელზეც შეიძლება განთავსდეს არანაკლებ 4.5 მ სიმაღლეზე 2კვ.მ. ფართის ორმხრივი დროებითი სარეკლამო კონსტრუქცია, საერთო სარეკლამო ფართი 320 კვ.მ.

ბ) **ქ. ქობულეთი,** რუსთაველის ქუჩაზე (სადგური-ვერულიძის ქუჩის კვეთამდე) 4 ცალი ქუჩის გადამკვეთი ორმხრივი ფირნიშები ზომით 1X10მ, საერთო ფართით 80 კვ.მეტრი.

გ) **ქ. ქობულეთი,** რუსთაველისა და თავისუფლების ქუჩების კვეთაში სამმხრივი კონსტრუქცია ზომით 3X4მ, საერთო ფართით 36 კვ.მეტრი.

დ) **ქ. ქობულეთი,** თავისუფლების ქუჩის სამხრეთი მხარე აგს „ლუკოილი"-ს მიმდებარედ ორმხრივი კონსტრუქცია ზომით 3X6 კვმ, საერთო ფართით 36 კვ.მეტრი

III ლოტი – ქ. ქობულეთი, თამარ მეფის სანაპირო. (სარეკლამო ფართი 480 კვ.მ.)

ა) **ქ. ქობულეთი,** თამარ მეფის სანაპიროზე არსებული განათების ბოძი 120 ცალი, რომელზეც შეიძლება განთავსდეს არანაკლებ 4.5 მ სიმაღლეზე 2კვ.მ ფართის ორმხრივი სარეკლამო ორმხრივი დროებითი სარეკლამო კონსტრუკცია,, საერთო სარეკლამო ფართი 480 კვ.მ.

IV ლოტი – მემედ აბაშიძის ქუჩა სამთავრობო აგარაკამდე. (სარეკლამო ფართი 403 კვ.მ.)

ა) **ქ. ქობულეთი,** აბაშიძის ქუჩაზე არსებული განათების ბოძი 40 ცალი, რომელზეც შეიძლება განთავსდეს არანაკლებ 4.5 მ. სიმაღლეზე 2კვ.მ. ფართის ორმხრივი დროებითი სარეკლამო კონსტრუქცია, საერთო სარეკლამო ფართი 160 კვ.მ.

ბ) ქ. ქობულეთის რკინიგზის სადგურის მიმდებარედ ხუთი ცალმხრივი კონსტრუქციები, თითო ზომით 3X9 მ. საერთო ფართი 135 კვ.მ.

გ) ქ. ქობულეთი, სოფ. ბობოყვათი აბაშიძის ქუჩა ყოფილი ბენზინგასამართი სადგურის მიმდებარედ ორმხრივი კონსტრუქცია ზომა 3X6 საერთო ფართი 36 კვმ.

დ) ქ. ქობულეთი, აბაშიძის ქუჩაზე, სოფელ ბობოყვათის სარკინიგზო გადასასვლელთან ორმხრივი კონსტრუქცია 3X6 სარეკლამო ფართი 36 კვმ

ე) აბაშიძის ქუჩაზე აგს „ლუკოილი"-ს მიმდებარედ ორმხრივი კონსტრუქცია ზომით 3X6 კვმ, საერთო ფართით 36 კვ.მეტრი

V ლოტი – სამთავრობო აგარაკიდან მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრამდე სენაკი-ბათუმი-სარფი გზის მონაკვეთზე. (სარეკლამო ფართი 347 კვ.მ.)

ა) ყოველ 1.5 კილომეტრში ქუჩის გადამკვეთი დროებითი გადასაჭიმი ორმხრივი ფირნიშები 3 ცალი ზომით 1X10 მ, საერთო ფართით 60 კვ.მეტრი.

ბ) ქობულეთი, სოფ. ციხისძირი, პეტრას ციხის მიმდებარედ ოთხი ცალმხრივი კონსტრუქცია თითო ზომით 3X9 საერთო სარეკლამო ფართი 108 კვ.მ.

დ) ქობულეთი, სოფ. ციხისძირის მეურნეობის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ ცალმხრივი კონსტრუქცია ზომით 3X9 საერთო სარეკლამო ფართი 27 კვ.მ.

ე) სოფ. ბუკნარის ყოფილი საკონსერვო ქარხნის მიმდებარედ ორმხრივი კონსტრუქცია ზომა 3X6 საერთო ფართი 36კვ.მ.

ვ) დაბა ჩაქვში თამარ მეფის ქ. №63-ის მოპირდაპირედ ორმხრივი კონსტრუქცია ზომა 3X6მ, საერთო ფართი 36კვ.მ.

ზ) დაბა ჩაქვში თამარ მეფის ქ. რომპეტროლის მიმდებარედ ორმხრივი ხიდისებური კონსტრუქცია ზომა 2X(2.5X16) მ, საერთო ფართი 80კვ.მ.

VI ლოტი – ხუცუბნის სარკინიგზო გადასასვლელიდან ჩრდილოეთის მიმართულებით საჯავხო ოზურგეთი ბათუმის ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ (სარეკლამო ფართი 710 კვ.მ.)

ა) აჭარა-გურიის ადმინისტრაციული საზღვარის მიმდებარედ ორმხრივი ხიდისებური კონსტრუქცია 2X(2.5X16)=80 კვ.მ.

ბ) საჯავხო-ოზურგეთი-ბათუმის ცენტრალური მაგისტრალის ქობულეთის ადმინისტრაციულ საზღვრამდე მაგისტრალის გასწვრივ ყოველ 2კმ ორმხრივი კონსტრუქცია 10 ცალი თითო ზომით 3X6 საერთო სარეკლამო ფართი 360კვ.მ.

გ) ათი ცალმხრივი კონსტრუქციები, თითო ზომით 3X9 მ. საერთო ფართი 270 კვ. მეტრი.